ავსტრია

- სახმელეთო ამანათის საქართველოში გამოსაგზავნად მიღება ხორციელდება ავსტრიაში არსებულ შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის ოფისებში.
- ავსტრიიდან საქართველოს მიმართულებით სახმელეთო ამანათის **გაგზავნის ღირებულება** დგინდება აგენტის მიერ.
- სახმელეთო ამანათის ავსტრიიდან საქართველოს მიმართულებით გაგზავნა ხორციელდება **ორშაბათ დღეს.**
- სახმელეთო ამანათის საქართველოში ტრანსპორტირების ვადაა გამოგზავნიდან **არაუმეტეს 5-8 სამუშაო დღე.**
- გამგზავნს უფლება არ აქვს სახმელეთო ამანათით გააგზავნოს ის ნივთები და საქონელი, რომელთა გაგზავნაც **აკრძალულია** როგორც გამგზავნი, ისე ტრანზიტული და საქართველოს კანონმდებლობით. სახმელეთო ამანათით ასევე იკრძალება მსხვრევადი ნივთების (მათ შორის ტელევიზორი; ჭურჭელი და სხვა) გაგზავნა;
- გზავნილის **სათანადოდ შეფუთვაზე** პასუხისმგებელია გამგზავნი. გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს, აგრეთვე ასეთმა შეფუთვამ არ უნდა დააზიანოს სხვა გზავნილები ტრანსპორტირების დროს და არ უნდა შეუქმნას პრობლემები პირებს, რომლებიც განახორციელებენ გზავნილების შემდგომ დამუშავებას, ტრანსპორტირებას თუ დასაწყობებას.
- სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება გზავნილზე დატანილი ადრესატის მისამართის/ინდექსის მომსახურე სერვისცენტრებსა და კონტრაქტორ ოფისებში.

  გთხოვთ გაითვალისწინოთ, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს, შეცვალოს ამანათის ჩაბარების ადგილი და ის გააგზავნოს იმავე რეგიონის/რაიონის/უბნის ფარგლებში არსებულ სხვა სერვისცენტრსა თუ კონტრაქტორ ოფისში.

- **ავსტრიაში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:**

N.	გაცემის პუნქტი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
1.	ზალცბურგი	**Austria, zalcburgas, 5020, karl-wurmb-strabe 5**	+4915510184426 +43 665 67146723	**სამშაბათი:** 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე
2.	ლინცი	**Austria, Linz, 4020, Indrustriezeile 58**	+4915510184426 +43 665 67146723	**ოთხშაბათი:** 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე
3.	ვენა	**Austria, wien, 1100, Triester str. 10**	+4915510184426 +43 665 67146723	**ხუთშაბათი:** 10:00 სთ დან 18:00 სთ-მდე

4.	გრაცი	**Karlauerstraße 26, 8020 Graz, Austria**	+4915510184426 +43 665 67146723	**სამშაბათი:** 17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე
5.	ინსბრუკი	**Südtiroler Pl. 7, 6020 Innsbruck, Austria**	+4915510184426 +43 665 67146723	**ორშაბათი:** 17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე